საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 6 19 00204517

06/11/2019

**საქართველოს პარლამენტთან არსებულ**
**ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს**

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, გიგზავნით „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის №121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2019 წლის 2 ნოემბრის №83 ბრძანებას.

იხ. დანართი

პატივისცემით,

ბექა ზეგარდელი
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი

info@ssg.gov.ge

**სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის მოსამსახურეთა ატრიბუტიკა**

**სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტი**

**სამკლაური ემბლემა** – სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია ფრთებზე ზევით აღმართული ხმალი, დაბოლოებული ელვის ფორმის პირით, რომელიც გამოსახავს სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი.**

**I სამმართველო**

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია ზევით აღმართული ყავისფერი ხმალი, ასევე ხმლის უკან აღმართული გადაჯვარედინებული ყავისფერი ისრები და გარშემო მუხის გვირგვინი, რომელიც გამოსახავს I სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კოპმპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

II სამმართველო

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია ზევით აღმართული ყავისფერი ხმალი, ხმლის უკან ოქროსფერი სამი ელვა, გარშემო მუხის გვირგვინით, რომელიც გამოსახავს II სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - სპეცდანიშნულების რაზმი.

**III სამმართველო**

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია ზევით აღმართული ყავისფერი ხმალი, ხმლის უკან ოქროსფერი ელვა, გარშემო მუხის გვირგვინით, რომელიც გამოსახავს III სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

V სამმართველო

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია პატრუქზე ცეცხლმოკიდებული ყავისფერი ბომბი, რომელიც გაპობილია ოქროსფერი ელვით, ჯვრის გამოსახულება და ქართულ-ინგლისური წარწერა: **„განაღმვის სამსახური“, „EOD“**; რომელიც გამოსახავს V სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

**VI სამმართველო**

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია გადაჯვარედინებულ ყავისფერ ხმლებზე, ზემოდან, მრგვალი ფარი და ფარზე გამოსახული მუზარადი, გარშემო მუხის გვირგვინით, რომელიც გამოსახავს VI სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

VII სამმართველო

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია ოთხ ნაწილად გაყოფილი წრე, რომელიც აღნიშნავს ოთხ მხარეს, ფარზე გამოსახული არწივი საქართველოს დროშით, ასევე გადაჯვარედინებული დაშვებული ხმლები ფარის უკან, რომელიც გამოსახავს VII სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

**ტაქტიკური მომზადების სამმართველო**

**სამკლაური ემბლემა** – სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია წიგნი, ყდაზე დეპარტამენტის ემბლემით, რომელიც გამოსახავს ტაქტიკური მომზადების სამმართველოს სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

**სამედიცინო უზრუნველყოფის განყოფილება**

**სამკლაური ემბლემა** - სტილიზებული ხაკისფერი ფარი გარშემო ყავისფერი კანტით;

ფარის ხაკისფერ ველზე გამოსახულია სამედიცინო ჯვარი, კვერთხზე შემოხვეული ორი გველი, გარშემო მუხის გვირგვინით რომელიც გამოსახავს სამედიცინო უზრუნველყოფის განყოფილების სტილიზებულ ემბლემას;

შევრონის კომპოზიციას ზედა ნაწილში ედგმება ხაკისფერი (ყავისფერი კანტით) სადევიზე ბაფთა ქართული წარწერით - **სპეცდანიშნულების რაზმი**.

# საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

## ბრძანება N83

2 ნოემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

## „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის №121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 29 დეკემბრის № 121 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 04/01/2016 წ.; სარეგისტრაციო კოდი - 130000000.63.075.016030) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-7 დანართის შემდეგ დაემატოს $7^1$ დანართი თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს სახელმწიფო**
**უსაფრთხოების სამსახურის უფროსი** — **გრიგოლ ლილუაშვილი**